საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეკელიძე ნოდარ პროკლეს ძე

კეკელიძე ნოდარ პროკლეს ძე (დ. 15. IV. 1930, სოფ. ჩოხატაური, ახლანდ. დაბა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენტრი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1984). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1955). 1961-იდან მუშაობს თსუ-ში სხვადასხვა ლაბორ. და კათედრის ხელმძღვანელად. 1984–85 იყო თსუ-ის სამეცნ. ნაწილის გამგე, 1985–93 – პრორექტორი საბუნებისმეტყველო მეცნ. დარგში; თანამშრომლობს სოხუმის ი. ვეკუას ფიზ.-ტექ. უნტთან, ფ. თავაძის სახ. მეტალ. და მასალათმცოდნეობის ინ-ტთან და სხვა სამეცნ. ცენტრებთან. 2009- იდან არის თსუ-ის ნივთიერებათა კვლევის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი.

კ-ის კვლევის ძირითადი სფეროა ნახევარგამტარებისა და მყარი სხეულების ფიზიკა, ტექნოლოგია, ელექტრონიკა, მასალათმცოდნეობა, რადიაციული ფიზიკა, ფიზ. მეთოდები ეკოლოგიაში. მის მიერ აღმოჩენილია მესრის ორმოდიანი რხევის მოვლენა InP-InAS მყარ ხსნარებში, რ-ებიც გამოიყენება მიკრო- და ოპტოელექტრონიკაში. მონაწილეობდა მრავალ საერთაშ. სამეცნ. ფორუმში. კ-ს მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის პრემია (1990), ლაიფციგის გამოფენის ოქროს მედალი და დიპლომი (1977), ივ. ჯავახიშვილის მედალი (2000), ღირსების ორდენი (2013).

თხზ.: «Journal of Phys. Chem. Solids», v. 34, 2117, 1973 (თანაავტ.); Optical Absorption near the Threshold in n-Type InP, InAs Crystals and their InPx As1-x solid solutions, «Physics Letters», 1972, v. 42, №2 (თანაავტ. G. Kekelidze).